## საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

## ბრძანება №35

თბილისი „27“ 07 2018 წ.

**„პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1235 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 25 ივლისის N944614 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1235 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული პროგრამა ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი

მუხლი 1.

| | |
|---|---|
| 1.1. პროგრამის დასახელება | „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ |
| 1.2. პროგრამის განხორციელების ვადები | 2018 წლის იანვარი-დეკემბერი |
| 1.3. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი | 1,628,000.00 |
| 1.4. ბიუჯეტის განმკარგავი | ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი |
| 1.5. ოპერაციული მენეჯერი | ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (პროგრამის კოორდინატორი) - ეთერ გველესიანი |

მუხლი 2. პროგრამის აღწერა

2018 წელს, საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო, „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ პროგრამის დაფინანსების ფარგლებში ახორციელებს აქტივობებს შემდეგი მიმართულებით:

- ✓ „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“;
- ✓ „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა დიდ ბრიტანეთში“;
- ✓ „სამეცნიერო საზაფხულო სკოლა საქართველოში“ ;
- ✓ „სამეცნიერო სკოლა შვეიცარიაში, CERN-ში (ბირთვული კვლევის ცენტრი)“;
- ✓ „სამეცნიერო სკოლა პოლონეთში";
- ✓ „შრომითი უნარების განვითარების საზაფხულო სკოლა“;
- ✓ „საზაფხულო ეკოსკოლა“;
- ✓ „ქართული ენის საზაფხულო სკოლა“;
- ✓ „ხელოვნების საზაფხულო სკოლა“;

2.1. ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში

„ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 2017-2018 აკადემიური წლის მდგომარეობით მე-9, მე-10 და მე-11 კლასების 600 მოსწავლე. მოსწავლეებისთვის განხორციელდება 2 კვირიანი ინტენსიური (არანაკლებ 20 საათი კვირაში) ინგლისური ენის საზაფხულო კურსი.

საზაფხულო სკოლის მონაწილეები 3 ნაკადად იქნებიან განაწილებული ერთ ბაზაზე. თითოეულ ნაკადში ჩაერთვება 200 მოსწავლე. პროგრამის განსახორციელებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ტენდერის გზით შერჩეული ორგანიზაცია მოამზადებს 35 მონაწილეს, აქედან, ხელშეკრულება გაუფორმდება არანაკლებ 12 მასწავლებელსა და 13 ჯგუფის ლიდერს (დანარჩენი 10 იქნება სარეზერვო ჯგუფში). მასწავლებელთა და ლიდერთა აღნიშნული რაოდენობა განაწილდება შემდეგი პროპორციით: თითო ნაკადში 1 მასწავლებელი და 1 ჯგუფის ლიდერი მოემსახურება 16-17 მოსწავლეს, ხოლო 1 ჯგუფის ლიდერი, დამატებით, საჭიროებისამებრ, დახმარებას გაუწევს სხვადასხვა ჯგუფების ლიდერებს. ხელშეკრულება აგრეთვე გაუფორმდება 1 უფროს მასწავლებელს, 2 ადმინისტრაციულ ასისტენტს და 1 უცხოელ ექსპერტს.

საქართველოში ინგლისური ენის საზაფხულო სკოლის მოსწავლეებისთვის უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამა. საზაფხულო სკოლის დაწყებამდე, პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ (ადგილობრივი) ინგლისური ენის მასწავლებლებისა და ჯგუფის ლიდერებისთვის ჩატარდება 2 დღიანი ტრენინგი /ინსტრუქტაჟი. აქტივობა აგრეთვე ითვალისწინებს საზაფხულო სკოლის არააკადემიური პროგრამების შემუშავებას და სკოლის სამუშაო-სასწავლო მასალებით მომარაგებას. ინგლისური ენის აკადემიური პროგრამა იქნება დიდ ბრიტანეთში აპრობირებული ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის კურსი.

კურსის დასრულების შემდეგ, ყოველი მონაწილე მიიღებს საზაფხულო სკოლის კურსის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

საზაფხულო სკოლაში სწავლების პერიოდი განისაზღვრება 2 კვირით:

I ნაკადი: 16 ივლისი - 29 ივლისი;
II ნაკადი: 30 ივლისი - 12 აგვისტო;
III ნაკადი: 13 აგვისტო - 26 აგვისტო;

**შენიშვნა:** საქართველოს ტერიტორიაზე საზაფხულო სკოლები უნდა მოეწყოს თბილისის შემოგარენში არსებულ დაბებში (კიკეთი, კოჯორი, წყნეთი, ტაბახმელა, წავკისი).

"ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში" მონაწილეები არიან:

ა) ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების (III ან/და II ტური) შედეგების მიხედვით შერჩეული მოსწავლეები;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული სხვადასხვა საგანმანათლებლო კონკურსების საფუძველზე შერჩეულიმე-9, მე-10 მე-11 კლასების მოსწავლეები;

გ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან შერჩეული მე-9, მე-10 და მე-11 კლასების (არაუმეტეს 50) მოსწავლეები სახელობითი სიის საფუძველზე.

დ) რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული აგრესიის შედეგად, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირები - მე-9, მე-10, მე -11 კლასების 10 მოსწავლე.

ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთა შემთხვევაში, არ არის აუცილებელი „მოსწავლეთა შერჩევის ა) და ბ) პუნქტების გათვალისწინება.

ვ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთა შემთხვევაში, შესაძლებელია „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში" მონაწილეობა მიიღოს 2017 -2018 აკადემიური წლის მდგომარეობით მე-8 კლასის მოსწავლემაც.

**ინფრასტრუქტურა და ტექნიკური უზრუნველყოფა**

„ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში" შერჩეული მონაწილეების ტრანსპორტირებას ავტობუსებით/მიკროავტობუსებით რაიონული ცენტრებიდან საზაფხულო ბაზის მიმართულებით და დასრულებისას (უკან) ისევ რაიონულ ცენტრებში მოახდენს განმახორციელებელი ორგანიზაცია.
განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ მგზავრთა გადაადგილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები უნდა იყოს კომფორტული, დასუფთავებული, ტექნიკურად გამართულ (მუშა) მდგომარეობაში. ასევე, მგზავრთა გადაადგილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილი უნდა იყოს გათბობა/გაგრილებისა და ვენტილაციისათვის საჭირო სისტემით.
საზაფხულო სკოლის ბაზის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს უსაფრთხო გარემო, დაცვის მექანიზმი, გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ხელმისაწვდომობა,

აკადემიური და არააკადემიური პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის არსებობა.
საზაფხულო სკოლის ბაზა უნდა იძლეოდეს საშუალებას, ინგლისურ ენაში პარალელურ რეჟიმში გაიმართოს მეცადინეობა (მინიმუმ) 12 საკლასო ოთახში (თითოეულ მათგანში უნდა განთავსდეს არაუმეტეს 16-17 მოსწავლისა). საზაფხულო სკოლის ბაზა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მსუბუქი სპორტული ინვენტარით, საჭირო საკანცელარიო საქონლით, შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით და პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთებით. წინამდებარე აქტივობა ითვალისწინებს მოსწავლეთა სამედიცინო დაზღვევას (სამოგზაურო დაზღვევა). საზაფხულო სკოლის ბაზა უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგიენური ნორმებს.

საძინებელ ოთახში თითოეული ბავშვისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი თავისუფალი სივრცე, რომელიც იქნება უზრუნველყოფილი პირადი ნივთების განთავსების საშუალებით; ყოველი პირი, რომელიც ღამეს ათევს ბაზაზე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკუთარი საწოლით; სველი წერტილი უნდა იყოს შენობაში; აუცილებელია გათვალისწინებული იყოს გოგონების და ვაჟების განთავსება ცალ-ცალკე ოთახებში.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ მრავალფეროვანი, დაბალანსებული კვების რაციონით, დღეში სამჯერ + დესერტი (დღეში ერთხელ). აუცილებელია საკვები, რომელიც შეიცავს: ცილას (რომელიც მოიპოვება ხორცში, ფრინველებში, ზღვის პროდუქტებში, კვერცხში, ლობიოში, თხილში და რძის პროდუქტებში); ნახშირწყლებს (ხილი, ბოსტნეული, გადაუმუშავებელი მარცვლეული); ვიტამინებს (რომელიც მოიპოვება ხილში, ბოსტნეულში და მინერალებში (კალციუმი, რძის პროდუქტები); ცხიმს (ხორცი, ყველი, თხილი, ზეთი, კარაქი).

განმახორციელებელმა ორგანიზაციამ მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს დღის მეორე ნახევრის აქტივობები. დღის მეორე ნახევრის აქტივობა უნდა განხორციელდეს დღეში ორჯერ მაინც.(მაგალითად სპორტი და სახელოვნებო აქტივობა), ხოლო ნაკადის განმავლობაში ექსკურსია, მინიმუმ 2 ჯერ მაინც.

საზაფხულო სკოლის ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს შინაგანაწესი, რომლის დაცვა სავალდებულო იქნება საზაფხულო სკოლის მონაწილეთათვის. თითოეულ მოსწავლეს დაურიგდება ქუდი (კეპი ლოგოთი). განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეების ქუდის (ლოგოიანი კეპი) ფორმა შეთანხმებული იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

საზაფხულო სკოლაში მონაწილე ყველა მოსწავლის მშობელი ან მეურვე ვალდებულია შეავსოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული სპეციალური თანხმობის ფორმა საკონტაქტო ინფორმაციის,

მოსწავლის დიეტის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ან რაიმე სხვა სპეციალური მოთხოვნების შესახებ, რომელსაც დაადასტურებს ხელმოწერით.

## 2.2 .ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა დიდ ბრიტანეთში

განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ შეიქმნება „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში" მონაწილე მასწავლებლების, ჯგუფის ლიდერების, უფროსი მასწავლებლისა და უცხოელი ექსპერტისაგან დაკომპლექტებული კომისია, რომელიც პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, საზაფხულო სკოლის 600 მონაწილიდან შეარჩევს 21 საუკეთესო მოსწავლეს, რომლებიც 1 ნაკადად გაემგზავრებიან დიდ ბრიტანეთში ინგლისური ენის შემსწავლელ საზაფხულო სკოლაში 2 კვირის ვადით. გამარჯვებული მოსწავლეების 2/3 უნდა იყოს რეგიონის სკოლის მოსწავლეები.
დიდ ბრიტანეთში გასამგზავრებელი მოსწავლეების შერჩევა მოხდება ეტაპობრივად, ყოველი ნაკადის დასრულებისთანავე, (თითო ნაკადიდან შეირჩევა 7 მოსწავლე).

მოსწავლეების შერჩევის პროცესს მონიტორინგს გაუწევს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. შერჩევის შემთხვევაში, მოსწავლის გასაგზავნად აუცილებელი პირობაა არასრულწლოვნის მშობლის ან მეურვის წერილობითი თანხმობა მისი საზღვარგარეთ 2 კვირის ვადით სასწავლებლად გაგზავნის შესახებ. გამარჯვებული მოსწავლეების სიები დამტკიცდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

კომისია ვალდებულია წერილობით დაასაბუთოს კანდიდატის არჩევის მიზანშეწონილობა. სამივე ნაკადიდან შერჩეული მოსწავლეების დიდ ბრიტანეთში გამგზავრება მოხდება მე-3 ნაკადის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში. მოსწავლეების შერჩევა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- მასწავლებლის მიერ დაფიქსირებული მოსწავლის ენის ფლობის პროგრესი საზაფხულო სკოლის დასრულების შემდეგ (*პრე-ტესტის*, შუალედური და *პოსტ* ტესტების საშუალებით);
- მოსწავლის მიერ გამოვლენილი სოციალური/ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი;
- მოსწავლის მიერ გამოვლენილი ჩართულობისა და გუნდური მუშაობის უნარი.

მასწავლებლების მიერ მოსწავლეების შეფასების ფორმები წინასწარ შემუშავდება განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ. დიდ ბრიტანეთში ინგლისური ენის საზაფხულო სკოლაში გასამგზავრებელ კანდიდატებად არ შეირჩევიან ის მოსწავლეები, რომლებიც იქნებიან დაფიქსირებული საზაფხულო სკოლის შინაგანაწესის დარღვევაში. გამარჯვებული მოსწავლეების გამოვლენა მოხდება

ეტაპობრივად, ნაკადების დასრულებისთანავე. მოსწავლეთა ჯგუფს დიდ ბრიტანეთში გამგზავრებისა და გამომგზავრებისას თანხლებას გაუწევს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს თანამშრომელი/ ან შტატგარეშე მოსამსახურე/ან შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.
დიდ ბრიტანეთში გამგზავრებასთან დაკავშირებულ მომსახურებას უზრუნველყოფს განმახორციელებელი ორგანიზაცია, პროგრამის ბიუჯეტის შესაბამისად. მომსახურების პაკეტი მოიცავს:

- პასპორტების დამზადება საჭიროების შემთხვევაში დაჩქარებულ ვადაში;
- საკონსულო მომსახურება;
- ტრანსპორტირება თბილისის აეროპორტამდე და უკან;
- თვითმფრინავით ორმხრივი მგზავრობა;
- მგზავრობა აეროპორტიდან საზაფხულო სკოლამდე და უკან;
- სწავლებისა და სასწავლო მასალების ღირებულება (ცხოვრება, კვება);
- ჯანმრთელობის დაზღვევა.

დიდ ბრიტანეთში გამგზავრებამდე მოსწავლეებს ჩაუტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომელზეც განემარტებათ უსაფრთხოების, ჯანდაცვისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. აგრეთვე, მიეცემათ რჩევები მულტიკულტურულ გარემოში ცხოვრების თავისებურებების, დიდ ბრიტანეთში გეოგრაფიის, კლიმატისა და წეს-ჩვეულებების შესახებ.

დიდ ბრიტანეთში ინგლისური ენის შემსწავლელი საზაფხულო სკოლ(ებ)ის შერჩევისას, განმახორციელებელი ორგანიზაცია გაითვალისწინებს ხელშეკრულების გაფორმებისას ინგლისურენოვან პედაგოგების მაღალკვალიფიციურობას, აგრეთვე უსაფრთხო გარემოს, დაცვის მექანიზმს, გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ხელმისაწვდომობას, აკადემიური და არააკადემიური პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის არსებობას. თითოეული მონაწილე უზრუნველყოფილი იქნება საჭირო საკანცელარიო საქონლით, შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით და პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთებით. სკოლები უნდა აკმაყოფილებდნენ ჰიგიენური ნორმების პირობებს. განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ შერჩეული სკოლების ადმინისტრაცია მონაწილეებს უზრუნველყოფს ჯანსაღი, დაბალანსებული კვების რაციონით, დღეში სამჯერ. ინგლისურენოვანი საზაფხულო სკოლ(ებ)ის პროგრამა გაჯერებული უნდა იყოს არა მხოლოდ ინგლისურ ენაში აკადემიური საათებით, არამედ არააკადემიური პროგრამებითაც, რაც უნდა მოიცავდეს როგორც სპორტულ აქტივობებს, ისე ინტელექტუალურ თამაშებს და ექსკურსიებს ისტორიულ, თუ ღირსშესანიშნავ ადგილებში.
განხორციელების ვადა: 2018 წლის სექტემბერი - ოქტომბერი (პერიოდი)

## 2.3. სამეცნიერო საზაფხულო სკოლა საქართველოში

**„სამეცნიერო საზაფხულო სკოლა საქართველოში“ მონაწილეები არიან** საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 2017-2018 სასწავლო წლის მდგომარეობით მე-9, მე-10, მე-11 კლასების 150 მოსწავლე, რომლებიც 2017-2018 სასწავლო წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში (III ან/და II ტური) და ინფორმატიკის ოლიმპიადაში საუკეთესო შედეგების მქონენი იქნებიან. მოსწავლეები 2 ნაკადად იქნებიან განაწილებული ბაზაზე. თითო ნაკადში მონაწილეობას მიიღებს 75 მოსწავლე. თითო ნაკადის ხანგრძლივობა იქნება 14 დღე, საზაფხულო სკოლა მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე არააკადემიურ პროგრამებს.

საზაფხულო სკოლის განხორციელების ვადა:

- 1-ელი ნაკადი: 30 ივლისი - 12 აგვისტო
- მე-2 ნაკადი: 13 აგვისტო-26 აგვისტო

**შენიშვნა:** საქართველოს ტერიტორიაზე საზაფხულო სკოლები უნდა მოეწყოს თბილისის შემოგარენში არსებულ დაბებში (კიკეთი, კოჯორი, წყნეთი, ტაბახმელა, წავკისი).

პროგრამის განსახორციელებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ტენდერის გზით შერჩეული ორგანიზაცია მოამზადებს არანაკლებ 15-მდე მასწავლებელსა და ჯგუფის ლიდერს (აქედან დაიქირავებს 5 მასწავლებელსა და 5 ჯგუფის ლიდერს, დანარჩენი 5 იქნება სარეზერვო ჯგუფში). მასწავლებელთა და ჯგუფის ლიდერთა აღნიშნული რაოდენობა განაწილდება შემდეგი პროპორციით: 1 მასწავლებელი და 1 ჯგუფის ლიდერი მოემსახურება 15 მოსწავლეს. ამასთან, განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ დაქირავებული იქნება 1 უფროსი მასწავლებელი და 1 ადმინისტრაციული ასისტენტი.

**ინფრასტრუქტურა და ტექნიკური უზრუნველყოფა**

„სამეცნიერო საზაფხულო სკოლა საქართველოში“ შერჩეული მონაწილეების ტრანსპორტირებას ავტობუსით / მიკროავტობუსით რაიონული ცენტრებიდან საზაფხულო ბაზის მიმართულებით და დასრულებისას (უკან) ისევ რაიონულ ცენტრებში, მოახდენს განმახორციელებელი ორგანიზაცია. მგზავრთა

გადაადგილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები უნდა იყოს კომფორტული, დასუფთავებული, ტექნიკურად გამართულ (მუშა) მდგომარეობაში. ასევე, მგზავრთა გადაადგილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილი უნდა იყოს გათბობა/გაგრილებისა და ვენტილაციისათვის საჭირო სისტემით.

საზაფხულო სკოლის ბაზის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს უსაფრთხო გარემო, დაცვის მექანიზმი, გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ხელმისაწვდომობა, აკადემიური და არააკადემიური (რომელიც მოიცავს სპორტულ, სახელოვნებო აქტივობებს და შემეცნებით - გასართობ ღონისძიებებს) პროგრამები დღის მეორე ნახევარში.

სკოლის ბაზა უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკლასო ოთახებით (თითოეულ საკლასო ოთახში უნდა მოთავსდეს არაუმეტეს 15 მოსწავლე). საზაფხულო სკოლის ბაზა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მსუბუქი სპორტული ინვენტარით, საჭირო საკანცელარიო საქონლით, შესაბამისი ტექნიკური საშუალებებითა და პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთებით. წინამდებარე აქტივობა ითვალისწინებს მოსწავლეთა სამედიცინო დაზღვევას (სამოგზაურო დაზღვევას). საზაფხულო სკოლის ბაზა უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგიენური ნორმებს.

საძინებელ ოთახში თითოეული ბავშვისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი თავისუფალი სივრცე, რომელიც იქნება უზრუნველყოფილი პირადი ნივთების განთავსების საშუალებით; ყოველი პირი, რომელიც ღამეს ათევს ბაზაზე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკუთარი საწოლით; სველი წერტილი უნდა იყოს შენობაში; აუცილებელია გათვალისწინებული იყოს გოგონების და ვაჟების განთავსება ცალ-ცალკე ოთახებში.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ მრავალფეროვანი, დაბალანსებული კვების რაციონით, დღეში სამჯერ + დესერტი (დღეში ერთხელ). აუცილებელია საკვები, რომელიც შეიცავს: ცილას (რომელიც მოიპოვება ხორცში, ფრინველებში, ზღვის პროდუქტებში, კვერცხში, ლობიოში, თხილში და რძის პროდუქტებში); ნახშირწყლებს (ხილი, ბოსტნეული, გადაუმუშავებელი მარცვლეული); ვიტამინებს და მინერალებს (რომელიც მოიპოვება ხილში, ბოსტნეულში); კალციუმი (რძის პროდუქტები); ცხიმს (ხორცი, ყველი, თხილი, ზეთი, კარაქი).

პროგრამის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს წინასწარ შერჩეული მასწავლებლებისა და ჯგუფის ლიდერების ტრენინგი/ინსტრუქტაჟი 3 დღით ადრე, საზაფხულო სკოლის დაწყებამდე.

საზაფხულო სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს შინაგანაწესს, რომლის დაცვაც სავალდებულო იქნება საზაფხულო სკოლის მონაწილეთათვის. განმახორციელებელი

ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ლოგოიანი ქუდის (კეპი) ფორმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

განმახორციელებელმა ორგანიზაციამ მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს დღის მეორე ნახევრის აქტივობები. დღის მეორე ნახევრის აქტივობა უნდა განხორციელდეს დღეში ორჯერ მაინც. (მაგალითად სპორტი და სახელოვნებო აქტივობა), ხოლო ნაკადის განმავლობაში ექსკურსია, მინიმუმ 2 ჯერ მაინც.

კურსის დასრულების შემდეგ, ყოველი მონაწილე მიიღებს საზაფხულო სკოლის კურსის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

საზაფხულო სკოლაში მონაწილე ყველა მოსწავლის მშობელი ან მეურვე ვალდებულია შეავსოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული სპეციალური თანხმობის ფორმა საკონტაქტო ინფორმაციის, მოსწავლის დიეტის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ან რაიმე სხვა სპეციალური მოთხოვნების შესახებ, რომელსაც დაადასტურებს ხელმოწერით.

„სამეცნიერო საზაფხულო სკოლა საქართველოში“ მონაწილე მოსწავლეებიდან შეირჩევა 20 გამარჯვებული მოსწავლე. აქედან 10 მოსწავლე მონაწილეობას მიიღებს სამეცნიერო სკოლაში ცერნში (ევროპის ბირთვული კვლევის ცენტრი), შვეიცარია და 10 გამარჯვებული მოსწავლე გაემგზავრება სამეცნიერო სკოლაში, პოლონეთში.

ა) საქართველოში სამეცნიერო საზაფხულო სკოლის დასრულებისთანავე 150 მონაწილიდან, საგნების მიხედვით (ფიზიკა, მათემატიკა, ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები), შეირჩევა საუკეთესო შედეგების მქონე 10 მოსწავლე. (1-ელი ნაკადიდან - 5 მოსწავლე; მე-2 ნაკადიდან - 5 მოსწავლე). რომლებიც 5 დღით გაემგზავრებიან შვეიცარიაში, CERN-ში (ევროპის ბირთვული კვლევის ცენტრი).

შვეიცარიაში გასამგზავრებლად მოსწავლეები შეირჩევიან საქართველოში ჩატარებული „სამეცნიერო საზაფხულო სკოლა საქართველოში“ მონაწილე (150) კონტიგენტიდან ტენდერის გზით შერჩეული ორგანიზაციის მიერ შექმნილი კომისიის შეფასების საფუძველზე. კომისია ვალდებულია წერილობით დაასაბუთოს თითოეული კანდიდატის შერჩევის მიზანშეწონილობა და დაადგინოს ცალკე 10 გამარჯვებული მოსწავლის სია, რომლებიც გაემგზავრებიან და მონაწილეობას მიიღებენ შვეიცარიაში, CERN-ში (ევროპის ბირთვული კვლევის ცენტრი) დაგეგმილ 5 დღიან ღონისძიებაში.
გამარჯვებული მოსწავლეების შერჩევის პროცესს მონიტორინგს გაუწევს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მონაწილეების სიები დამტკიცდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით.

მოსწავლეების შერჩევა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- **მოსწავლის პროგრესი საგნობრივი (ფიზიკა, მათემატიკა, ინფორმაციულ - კომუნიკაციური ტექნოლოგიები) მიმართულებით საზაფხულო სკოლის დასრულების შემდეგ:**

წარმატების პასპორტი: აღნიშნული პასპორტის მეშვეობით ყოველი პროგრამის ბოლოს გამოვლინდება 5 საუკეთესო პასპორტის მქონე, რომლებსაც ყველაზე მეტი ქულა ექნება მოპოვებული).
(კითხვარი - ყოველი პლენარული სესიის და სექციებში მუშაობის შემდეგ მოსწავლეებს დაურიგდებათ მოკლე კითხვარი, რომლის მეშვეობითაც დაფიქსირდება, თუ რამდენად ჩართული იყო მოსწავლე ლექციაში და აითვისა ახსნილი მასალა.

- **მოსწავლის მიერ გამოვლენილი სოციალური/ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი**

დახასიათება: (ყოველ მე-4 დღეს ლიდერი აკეთებს მოსწავლეების შესახებ მოკლე აღწერას, სადაც მიუთითებს მისი, დღის მეორე ნახევარში დაკვირვების შედეგს და ქმნის მოსწავლის ე.წ. ფსიქოლოგიურ პორტრეტს.

ბ) „სამეცნიერო საზაფხულო სკოლა საქართველოში" მონაწილე 150 მოსწავლიდან საგნების მიხედვით (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა) ასევე შეირჩევა საუკეთესო შედეგების მქონე 10 მოსწავლე. (1-ელი ნაკადიდან - 5 მოსწავლე; მე-2 ნაკადიდან - 5 მოსწავლე). გამარჯვებული მოსწავლეები 5 დღით გაემგზავრებიან და მონაწილეობას მიიღებენ სამეცნიერო სკოლაში, პოლონეთში.
მოსწავლეები შეირჩევიან საქართველოში განხორციელებული სამეცნიერო საზაფხულო სკოლის მონაწილე (150) კონტიგენტიდან, ტენდერის გზით შერჩეული ორგანიზაციის მიერ შექმნილი კომისიის შეფასების საფუძველზე. კომისია ვალდებულია წერილობით დაასაბუთოს თითოეული კანდიდატის შერჩევის მიზანშეწონილობა და დაადგინოს 10 გამარჯვებული (თითო ნაკადიდან 5-5 მოსწავლე) მოსწავლის სია, რომლებიც 5 დღით გაემგზავრებიან სამეცნიერო სკოლაში, პოლონეთში.

გამარჯვებული მოსწავლეების შერჩევის პროცესს მონიტორინგს გაუწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. გამარჯვებული მოსწავლეების სიები დამტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

მოსწავლეების შერჩევა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- **მოსწავლის პროგრესი საგნობრივი მიმართულებით საზაფხულო სკოლის დასრულების შემდეგ:**

  წარმატების პასპორტი: აღნიშნული პასპორტის მეშვეობით ყოველი პროგრამის ბოლოს გამოვლინდება 5 საუკეთესო პასპორტის მქონე, რომლებსაც ყველაზე მეტი ქულა ექნება მოპოვებული.

  კითხვარი - ყოველი პლენარული სესიის და სექციებში მუშაობის შემდეგ მოსწავლეებს დაურიგდებათ მოკლე კითხვარი, რომლის მეშვეობითაც დაფიქსირდება, თუ რამდენად ჩართული იყო მოსწავლე ლექციებში და აითვისა ახსნილი მასალა:

  **მოსწავლის მიერ გამოვლენილი სოციალური/ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი:** ყოველ მე-4 დღეს ლიდერი აკეთებს მოსწავლეების შესახებ მოკლე აღწერას, სადაც მიუთითებს დღის მეორე ნახევარში მოსწავლეზე დაკვირვების შედეგს და ქმნის მოსწავლის ე.წ. ფსიქოლოგიურ პორტრეტს.

**2.4. „სამეცნიერო სკოლა", CERN-ში (ევროპის ბირთვული კვლევის ცენტრი), შვეიცარია**

„სამეცნიერო საზაფხულო სკოლა საქართველოში" საფუძველზე შერჩეული 10 გამარჯვებული მოსწავლისთვის განახორციელებს „სამეცნიერო სკოლას" შვეიცარიაში, CERN-ში (ევროპის ბირთვული კვლევის ცენტრი). მოსწავლეებს თანხლებას გაუწევს 10 მოსწავლიდან საუკეთესო შედეგების მქონე 2 მოსწავლის 2 მასწავლებელი და 1 სამინისტროს წარმომადგენელი. სულ 13 პირი.

**განხორციელების ვადა:** 1 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით (პერიოდი).

განმახორციელებელმა ორგანიზაციამ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მიწოდებული სიის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს სიით განსაზღვრული 13 პირის (მათ შორის ერთი პირი იქნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

წარმომადგენელი) 5 დღიანი „სამეცნიერო სკოლის" ორგანიზება შვეიცარიაში, CERN-ში (ევროპის ბირთვული კვლევის ცენტრი).

**განმახორციელებელმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებების გატარება:**

- „სამეცნიერო სკოლის" მონაწილე პირებისთვის, საჭიროების შემთხვევაში პასპორტების დამზადება დაჩქარებულ ვადაში;
- „სამეცნიერო სკოლის" მონაწილე პირებისთვის ვიზები/საკონსულო მომსახურება, საჭიროების შემთხევაში;
- (CERN-ის ბირთვული კვლევის ცენტრი) აღნიშნულ პირთა სახელზე მოწვევის გამოთხოვას უზრუნველყოფს სამინისტრო);
- „სამეცნიერო სკოლის" მონაწილე პირების ტრანსპორტირება თბილისის/ან ქუთაისის აეროპორტამდე და უკან;

- „სამეცნიერო სკოლის“ მონაწილე პირების თვითმფრინავით (ორმხრივი) მგზავრობა; (თვითმფრინავით მგზავრობისას გათვალისწინებული უნდა იყოს კვება);
- „სამეცნიერო სკოლის“ მონაწილე პირების მგზავრობა შვეიცარიის აეროპორტიდან დანიშნულების ადგილამდე და უკან;
- სასტუმრო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს (განთავსების კომფორტული პირობები, ხარისხიანი კვება);
- მონაწილეები უნდა განთავსებულ იქნან ერთ სასტუმროში;
- „სამეცნიერო სკოლის“ მონაწილე პირების შვეიცარიაში ცხოვრებისა და სამჯერადი კვების (საუზმე მიზანშეწონილია იყოს სასტუმროს ტერიტორიაზე, ხოლო სადილი შესაძლებელია იყოს ორგანიზებული იქნას ცერნის ტერიტორიაზე) უზრუნველყოფა;

- სამინისტროს წარმომადგენლისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასტუმროს ინდივიდუალური ნომრის ჯავშანი, რომლის ღირებულების გადახდას უზრუნველყოფს სამინისტრო;

- შვეიცარიაში შიდა გადაადგილება (სასტუმროდან CERN-ამდე და უკან);

- ჯანმრთელობის (სამოგზაურო) დაზღვევა;

თითოეული მონაწილის უზრუნველყოფა დაწვრილებითი წერილობითი ინსტრუქციით შვეიცარიაში დაგეგმილი დღის წესრიგისა და მგზავრობის წესების შესახებ;

<u>5 დღიანი სამეცნიერო სკოლის გრაფიკი:</u>

I დღე- შვეიცარიაში ჩაფრენა/დაბინავება;

II დღე- CERN-ის ცენტრალურ ლაბორატორიაში;

III დღე - CERN-ის ცენტრალურ ლაბორატორიაში;

IV დღე - CERN-ის ცენტრალურ ლაბორატორიაში საგანმანათლებლო ლექციაზე დასწრება;

V დღე - საქართველოში გამომგზავრება.

**შენიშვნა:** სასტუმრო უნდა მდებარეობდეს ჟენევაში და მისი კონკრეტული ადგილმდებარეობის შერჩევისას გათვალისწინებული იყოს, რომ სასტუმროდან ლაბორატორიამდე ტრანსპორტით მისასვლელად ჯგუფს დაჭირდეს არაუმეტეს 45 წუთი.

**შენიშვნა:** განმახორციელებელმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა მონაწილის თვითმფრინავის ბილეთებისა და სასტუმროს 13 მონაწილეზე დაჯავშნა. ხოლო ერთი მონაწილის (სამინისტროს წარმომადგენელი/ხელმძღვანელი)

თვითმფრინავით მგზავრობის, სასტუმროსა და კვების ხარჯს აანაზღაურებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

## 2.5. „სამეცნიერო სკოლა პოლონეთში"

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აქტივობის „სამეცნიერო საზაფხულო სკოლა საქართველოში" საფუძველზე შერჩეულ 10 გამარჯვებული მოსწავლისთვის განახორციელებს სამეცნიერო სკოლას პოლონეთში. მოსწავლეებს თანხლებას გაუწევს 10 მოსწავლიდან საუკეთესო შედეგების მქონე 2 მოსწავლის 2 მასწავლებელი და 1 სამინისტროს წარმომადგენელი, სულ 13 პირი.

ტენდერის გზით შერჩეულმა განმახორციელებელმა ორგანიზაციამ „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად" პროგრამის დაფინანსების ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მიწოდებული სიის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს სიით განსაზღვრული 13 პირის (მათ შორის ერთი პირი იქნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი) 5 დღიანი „სამეცნიერო სკოლის" ორგანიზება პოლონეთში.

განმახორციელებელმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- სამეცნიერო სკოლის" მონაწილე პირებისთვის, საჭიროების შემთხვევაში პასპორტების დამზადება დაჩქარებულ ვადაში;
- სამეცნიერო სკოლის" მონაწილე პირებისთვის ვიზები/საკონსულო მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში (აღნიშნულ პირთა სახელზე მოწვევის გამოთხოვას უზრუნველყოფს სამინისტრო);
- „სამეცნიერო სკოლის" მონაწილე პირების ტრანსპორტირება თბილისის/ან ქუთაისის აეროპორტამდე და უკან;
- სამეცნიერო სკოლის" მონაწილე პირების თვითმფრინავით (ორმხრივი) მგზავრობა; (თვითმფრინავით მგზავრობისას გათვალისწინებული უნდა იყოს კვება);
- „სამეცნიერო სკოლის" მონაწილე პირების მგზავრობა პოლონეთის აეროპორტიდან დანიშნულების ადგილამდე და უკან;
- სასტუმრო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს (განთავსების კომფორტული პირობები, ხარისხიანი კვება);
- მონაწილეები უნდა განთავსებულ იქნან ერთ სასტუმროში;
- „სამეცნიერო სკოლის" მონაწილე პირების პოლონეთში ცხოვრებისა და სამჯერადი კვების (საუზმე მიზანშეწონილია იყოს სასტუმროს ტერიტორიაზე, ხოლო სადილი შესაძლებელია იყოს ორგანიზებული იქნას სასტუმროს გარეთ;

- სამინისტროს წარმომადგენლისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასტუმროს ინდივიდუალური ნომრის ჯავშანი, რომლის ღირებულების გადახდას უზრუნველყოფს სამინისტრო;
- პოლონეთში შიდა გადაადგილება (სასტუმროდან დანიშნულების ადგილამდე და უკან);
- ჯანმრთელობის (სამოგზაურო) დაზღვევა;

თითოეული მონაწილის უზრუნველყოფა დაწვრილებითი წერილობითი ინსტრუქციით პოლონეთში დაგეგმილი დღის წესრიგისა და მგზავრობის წესების შესახებ;

**შენიშვნა:** განმახორციელებელმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა მონაწილის თვითმფრინავის ბილეთებისა და სასტუმროს 13 მონაწილეზე დაჯავშნა. ხოლო ერთი მონაწილის (სამინისტროს წარმომადგენელი/ხელმძღვანელი) თვითმფრინავით მგზავრობის, სასტუმროსა და კვების ხარჯს აანაზღაურებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

**2.6. „შრომითი უნარების განვითარების საზაფხულო სკოლა“**

2018 წელს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ,,დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად" პროგრამის დაფინანსების ფარგლებში გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ ბაზაზე განახორციელებს „შრომითი უნარების განვითარების საზაფხულო სკოლას“.

საზაფხულო სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეებში შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ცოდნის და უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას.

**საზაფხულო სკოლის მონაწილეები არიან:**

2017-2018 სასწავლო წლის მდგომარეობით, საქართველოს სოფლებსა და დაბებში მდებარე მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლების მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასების 400 მოსწავლე, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული ოკუპირებული ტერიტორიიდან მცხოვრები 2017 -2018 აკადემიური წლის მდგომარეობით მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასების მოსწავლეები (არაუმეტეს 50) და რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული აგრესიის შედეგად, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირების - 2017 -2018 აკადემიური წლის მდგომარეობით მე- 8, მე-9, მე-10 კლასების(10) მოსწავლეები.

**შენიშვნა:**

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთა შემთხვევაში, შესაძლებელია მოსწავლეები არ წარმოადგენდნენ დაბაში/სოფელში მდებარე მცირეკონტიგენტიან სკოლას.

ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთა შემთხვევაში, შესაძლებელია საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა მიიღოს 2017 -2018 სასწავლო წლის მდგომარეობით მე-7 კლასის მოსწავლემაც.

საზაფხულო სკოლა ჩატარდება 3 ნაკადად. თითოეული ნაკადის ხანგრძლივობა იქნება 10 დღე.

**განხორციელების ვადა:**

1-ელი ნაკადი:15 ივლისი - 24 ივლისი;

მე-2 ნაკადი: 25 ივლისი-3 აგვისტო;

მე-3 ნაკადი: 4 აგვისტო-13 აგვისტო.

„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად" პროგრამის დაფინანსების ფარგლებში, საზაფხულო სკოლის პროგრამულ უზრუნველყოფას, აგრეთვე მონაწილეების კვებითა და ღამისთევით მომსახურებას უზრუნველყოფს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი" წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად სამინისტროს მიერ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში.

საზაფხულო სკოლის პროგრამაში ინტეგრირებული უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო, ასევე სპორტული ღონისძიებები და დღის მეორე ნახევრის აქტივობები. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა პროფესიული მიმართულებების გაცნობას და პრაქტიკულ სამუშაოებს, რაც ხელს შეუწყობს შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას. გათვალისწინებული უნდა იყოს კინოხელოვნების გაცნობის მიზნით სახალისო და საინტერესო აქტივობებიც.

მოსწავლეების რაოდენობიდან გამომდინარე, განმახორციელებელი ვალდებულია შეარჩიოს საჭირო რაოდენობის ტრენერები/ექსპერტები და ლიდერები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პერსონალური ასისტენტი, რომლებიც უზრუნველყოფენ საზაფხულო სკოლის საინტერესოდ წარმართვას.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ მრავალფეროვანი, დაბალანსებული კვების რაციონით, დღეში სამჯერ + დესერტი (დღეში ერთხელ). აუცილებელია საკვები, რომელიც შეიცავს: ცილას (რომელიც მოიპოვება ხორცში, ფრინველებში, ზღვის პროდუქტებში, კვერცხში, ლობიოში, თხილში და რძის პროდუქტებში); ნახშირწყლებს (ხილი, ბოსტნეული, გადაუმუშავებელი მარცვლეული); ვიტამინებს და მინერალებს (რომელიც მოიპოვება ხილში, ბოსტნეულში; კალციუმს (რძის პროდუქტები); ცხიმს (ხორცი, ყველი, თხილი, ზეთი, კარაქი).
საძინებელ ოთახში თითოეული მონაწილისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი თავისუფალი სივრცე, რომელიც იქნება უზრუნველყოფილი პირადი ნივთების განთავსების საშუალებით; ყოველი პირი, რომელიც ღამეს ათევს ბაზაზე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკუთარი საწოლით; სველი წერტილი უნდა იყოს შენობაში; აუცილებელია გათვალისწინებული იყოს გოგონების და ვაჟების განთავსება ცალ-ცალკე ოთახებში.

განთავსების ადგილზე მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე იზრუნებს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური ( 25/26 მოსწავლეზე -1 მანდატური).

კურსის დასრულების შემდეგ, ყოველი მონაწილე მიიღებს საზაფხულო სკოლის კურსის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

საზაფხულო სკოლაში მონაწილე ყველა მოსწავლის მშობელი ან მეურვე ვალდებულია შეავსოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული სპეციალური თანხმობის ფორმა საკონტაქტო ინფორმაციის, მოსწავლის დიეტის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ან რაიმე სხვა სპეციალური მოთხოვნების შესახებ, რომელსაც დაადასტურებს ხელმოწერით.

**შენიშვნა:** *მოსწავლეების ტრანსპორტირებას ბაზამდე და უკან უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მომსახურების შესყიდვის გზით.*

**შრომითი უნარების განვითარების საზაფხულო სკოლის ტრანსპორტირება**

„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად" პროგრამის აქტივობის „შრომითი უნარების განვითარების საზაფხულო სკოლის" დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 2017-2018 აკადემიური წლის მდგომარეობით მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასების 400 მოსწავლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს ტენდერის გზით შერჩეული განმახორციელებელი ორგანიზაცია.

**ლოკაციის ადგილი** - საქართველო, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთი, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი".

**განმახორციელებელი უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურების განხორციელებას:** ტრანსპორტირება - "შრომითი უნარების განვითარების საზაფხულო სკოლის" მონაწილეების ტრანსპორტირებას ავტობუსებით / მიკროავტობუსებით რაიონული ცენტრებიდან საზაფხულო ბაზის მიმართულებით და დასრულებისას (უკან) ისევ რაიონულ ცენტრებში მოახდენს მიმწოდებელი ქვემოთ მოცემული გრაფიკის შესაბამისად (თარიღისა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით)

**ტრანსპორტირების გრაფიკი**

| ნაკადი | უკიდურესი რაიონი | მოსწავლეთა რაოდენობა | თარიღი |
|---|---|---|---|
| I | ☐ 114 მოსწავლე (მესტია, ზუგდიდი, ჯგალის თემი, წალენჯიხა, აფხაზეთი) | 140 | 15.07.2018 - 24.07.2018 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ☐ 26 მოსწავლე (ვანი, ხარაგაული) | | |
| II | ☐ 68 მოსწავლე (მარტვილი, ხონი, წყალტუბო, ქუთაისი, ზესტაფონი)<br>☐ 41 მოსწავლე (ფოთი, სენაკი, აბაშა, სამტრედია)<br>☐ 21 მოსწავლე (ტყიბული, თერჯოლა) | 130 | 25.07.208-3.08.2018 |
| III | ☐ 38 მოსწავლე (ჩხოროწყუ, ხობი, ბაღდათი)<br>☐ 32 მოსწავლე (ჭიათურა, საჩხერე)<br>☐ 60 მოსწავლე (ჩოხატაური, ოზურგეთი, ლანჩხუთი) | 130 | 4.08.2018-13.08.2018 |

განმახორციელებელმა ორგანიზაციამ მონაწილეების გადაყვანა უნდა განახორციელოს ყველა სატრანსპორტო წესების დაცვით და გათვალისწინებით:

განმახორციელებლის მიერ მგზავრთა გადაადგილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები უნდა იყოს კომფორტული, დასუფთავებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, საქალაქთაშორისო ან ტურისტული სალონით აღჭურვილი, ტექნიკურად გამართულ (მუშა) მდგომარეობაში.

ასევე, მგზავრთა გადაადგილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილი უნდა იყოს გათბობა/გაგრილებისა და ვენტილიაციისათვის საჭირო სისტემით (კონდიციონერი). ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე არ უნდა იყოს დამატებით დამონტაჟებული სხვადასხვა სახის საწვავის აპარატურა თუ სხვა მოწყობილობა. მომსახურების გაწევისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნორმასა და მოთხოვნას.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებში მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა უნდა განხორციელდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალი ნაწილის მარჯვენა ნაპირთან.

განმახორციელებელი ვალდებულია პასუხი აგოს მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანაზე. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ყველა სატრანსპორტო ოპერაცია და პროცედურა (სათანადო დოკუმენტაციის მომზადება, სატრანსპორტო საშუალების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და ა. შ.) მგზავრთა დროულად და უსაფრთხოდ გადაყვანისათვის. სატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ალტერნატიული ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლება.

პრეტენდენტის მიერ მომსახურებისათვის შემოთავაზებული მძღოლების ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 60 წელს. მძღოლები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ფლობდნენ შესაბამისი კლასის მართვის მოწმობებს.

**2.7. „საზაფხულო ეკოსკოლა“**

გარემოსდაცვითი მიმართულებით მოსწავლეების ცნობიერების ამაღლების, საბუნებისმეტყველო დისციპლინების პოპულარიზაცისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 300 მოსწავლისთვის განხორციელდება „საზაფხულო ეკოსკოლა". საზაფხულო სკოლა ჩატარდება 2 ნაკადად. თითოეული ნაკადის ხანგრძლივობა იქნება 10 დღე.

**ვადა:** 1-ელი ნაკადი: 2-11 აგვისტო;

მე-2 ნაკადი: 12-21 აგვისტო.

**ლოკაციის ადგილი** - საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, სალიბაურის N2 საჯარო სკოლის ბაზა.

**საზაფხულო ეკოსკოლის მონაწილეები არიან:**

ა) 2017-2018 აკადემიური წლის მდგომარეობით, საქართველოს სოფლებსა და დაბებში მდებარე მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლების, მე-7, მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეები;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებისა და ოკუპირებული ტერიტორიიდან შერჩეული 2017 -2018 აკადემიური წლის მდგომარეობით მე-7, მე-8, მე-9 კლასების (არაუმეტეს 50) მოსწავლეები;

გ) რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული აგრესიის შედეგად, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირების - 2017 -2018 აკადემიური წლის მდგომარეობით მე-7, მე-8, მე-9 კლასების 10 მოსწავლე;

დ) კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) სასკოლო გარემოსდაცვითი კონკურსის "ნიკო კეცხოველის პრემია 2018 - აღმოაჩინე საქართველოს" მონაწილეები - 2017 -2018 აკადემიური წლის მდგომარეობით მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეები;

ე) საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის, საფრანგეთისა და შვეიცარიის საელჩოების მიერ ორგანიზებული „ფრანკოფონია 2018-ის“ კონკურსების გამარჯვებული 2017 -2018 აკადემიური წლის მდგომარეობით მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეები

**ინფრასტრუქტურა, პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა**

ტენდერის გზით შერჩეულმა განმახორციელებელმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს რეგიონების 300 მოსწავლისთვის ეკოსკოლის მომსახურება. საზაფხულო სკოლის პროგრამაში ინტეგრირებული უნდა იყოს საგანმანათლებლო, თემატური ტრენინგები, კვლევითი სამუშაოები, სპორტული ღონისძიებები და სათავგადასავლო თამაშები. მოსწავლეებისთვის უნდა განხორციელდეს ექსკურსიები ქ. ბათუმში, ბოტანიკურ ბაღში, აკვარიუმსა და დელფინარიუმში.

საზაფხულო სკოლების საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგ გარემოს დაცვით თემებს:

- ბიომრავალფეროვნება-დაცული ტერიტორიები
- ნარჩენების მდგრადი მართვა
- კლიმატის ცვლილება-ენერგო ეფექტურობა
- წყლის რესურსები და ჰაერის დაბინძურება
- ბუნებრივი კატასტროფები
- ეკო კლუბები და სამოქმედო გეგმა

საზაფხულო სკოლის პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მოზარდებში სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მეშვეობით.

*საზაფხულო სკოლის განხორციელებისათვის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებების გატარება:*

საზაფხულო სკოლაში მონაწილე 300 მოსწავლისთვის უნდა განახორციელოს როგორც საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე სპორტული აქტივობები. განმახორციელებელმა უნდა შეიმუშაოს და მოსწავლეებს შესთავაზონ მათი საჭიროებებიდან გამომდინარე შეჯერებული გარემოსდაცვითი, შემეცნებით-გასართობი და სპორტული აქტივობები. წარმოდგენილი საგანმანთლებლო ტრენინგ-პროგრამები ამ მიმართულებებით (გარემოს დაცვა, სპორტი) უნდა მოიცავდეს ისეთ თემებს, რომლებიც საინტერესო იქნება მოსწავლეებისთვის და ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, საბუნებისმეტყველო დისციპლინების პოპულარიზაციას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

**ტრანსპორტირება** - „საზაფხულო ეკოსკოლა“ მონაწილეების ტრანსპორტირებას ავტობუსებით / მიკროავტობუსებით რაიონული ცენტრებიდან საზაფხულო ბაზის მიმართულებით და დასრულებისას (უკან) ისევ რაიონულ ცენტრებში მოახდენს განმახორციელებელი ორგანიზაცია.

ტრანსპორტირება რაიონული ცენტრებიდან საზაფხულო ბაზის მიმართულებით და დასრულებისას (უკან) ისევ რაიონულ ცენტრებში განხორციელდება ქვემოთ მითითებული განრიგის შესაბამისად:

**ტრანსპორტირების გრაფიკი**

| ნაკადი | უკიდურესი რაიონი |
| --- | --- |
| I | ☐ 46 მოსწავლე (ზუგდიდი, (გალი), ფოთი)<br>☐ 65 მოსწავლე (თიანეთი, დუშეთი, მცხეთა)<br>☐ 39 მოსწავლე (კასპი, ქარელი, ხაშური) |
| II | ☐ 39 მოსწავლე (ახმეტა, თელავი, ყვარელი, გურჯაანი, საგარეჯო)<br>☐ 43 მოსწავლე (ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, სიღნაღი, თბილისი)<br>☐ 33 მოსწავლე (მარნეული, გორი, ქუთაისი, სამტრედია, ოზურგეთი)<br>☐ 35 მოსწავლე (ონი, ამბროლაური, ლენტეხი, ცაგერი) |

განმახორციელებელმა ორგანიზაციამ მონაწილეების გადაყვანა უნდა განახორციელოს სატრანსპორტო წესების დაცვით და გათვალისწინებით.

მოსწავლეებისთვის განხორციელდება პროგრამით გათვალისწინებული შემეცნებით-გასართობი აქტივობები და ექსკურსიები **დელფინარიუმში, აკვარიუმში, ბოტანიკურ ბაღში და ქ. ბათუმში.** (ექსკურსიებზე ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს განმახორციელებელი ორგანიზაცია).

მგზავრთა გადაადგილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები უნდა იყოს კომფორტული, დასუფთავებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, საქალაქთაშორისო ან ტურისტული სალონით აღჭურვილი, ტექნიკურად გამართულ (მუშა) მდგომარეობაში.

ასევე, მგზავრთა გადაადგილებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილი უნდა იყოს გათბობა/გაგრილებისა და ვენტილიაციისათვის საჭირო სისტემით (კონდიციონერი). ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე არ უნდა იყოს დამატებით დამონტაჟებული სხვადასხვა სახის საწვავის აპარატურა თუ სხვა მოწყობილობა. მომსახურების გაწევისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნორმასა და მოთხოვნას.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებში მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა უნდა განხორციელდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალი ნაწილის მარჯვენა ნაპირთან.

განმახორციელებელი ორგანიზაცია ვალდებულია პასუხი აგოს მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანაზე. განმახორციელებელი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს ყველა სატრანსპორტო ოპერაცია და პროცედურა (სათანადო დოკუმენტაციის მომზადება, სატრანსპორტო საშუალების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და ა. შ.) მგზავრთა დროულად და უსაფრთხოდ გადაყვანისათვის. სატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში განმახორციელებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ალტერნატიული ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლება.

პრეტენდენტის მიერ მომსახურებისათვის შემოთავაზებული მძღოლების ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 60 წელს. მძღოლები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ფლობდნენ შესაბამისი კლასის მართვის მოწმობებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩართული** იქნებიან: ტრენერი, ლიდერი, მენეჯერი, ადმინისტრაციული ასისტენტი - მოსწავლეების რაოდენობიდან გამომდინარე, განმახორციელებელი ორგანიზაცია ვალდებულია შეარჩიოს საჭირო რაოდენობის ტრენერები და ლიდერები, რომლებიც გადანაწილებული იქნებიან შემდეგი პროპორციით: თითოეული ტრენერი და ლიდერი მოემსახურება არაუმეტეს 25 მოსწავლეს (სულ თითო ნაკადზე 6 ლიდერი და 6 ტრენერი). აქტივობების შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და მართვის მიზნით, მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს 1 მენეჯერი და 1 ადმინისტრაციული ასისტენტი.

**შენიშვნა:** განთავსების ადგილზე მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე იზრუნებს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (არაუმეტეს 25 მოსწავლეზე -1 მანდატური).

**შენიშვნა:** საზაფხულო სკოლის დაწყებამდე, განმახორციელებელი ორგანიზაცია უფლებამოსილია უზრუნველყოს წინასწარ შერჩეული ტრენერებისთვის / ლიდერებისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარება.

